ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 01-07/1

1-01-07-4-202001271241

27/01/2020

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე
სხდომის ჩატარებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 26-ე მუხლის მეორე პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. მოწვეულ იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა 2020 წლის 28 იანვარს 12-00 საათზე, რომელიც ჩატარდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის შენობაში მესამე სართულზე, სააქტო დარბაზში. (მის: ქობულეთი,დ.აღმაშენებლის გამზირი N141);

2.ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ გადაწყვიტა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 28 იანვრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანილ იქნას შემდეგი საკითხები:

2.1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 20 იანვრის №01-17/263 მომართვა -,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - ლევან ზოიძე)

2.2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 13 იანვრის N01-14/109 მომართვა-ქობულეთის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ-დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვის, ტურიზმისა და საინვესტიციო განვითარების სამსახურის უფროსი -ზურაბ ამაღლობელი)

2.3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 22 იანვრის N01-17/324 მომართვა -დაბა ჩაქვის ტერიტორიაზე, სანაპირო ზოლში საკურორტო სარეკრეაციო ზონის ბუნებრივ ლანდშაფტური ზონის სტატუსით მინიჭების შესახებ;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი ასლან ქათამაძე)

2.4.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 20 იანვრის N01-17/254 მომართვა- ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ;

(მომხსენებელი: მამია ჟორდანია)

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30);

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით მჭედლიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა